საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

შეთანხმება N GYLA/IDFI -12/2023

ქ. თბილისი

თარიღი: 15.12.2023

წინამდებარე შეთანხმებით დგინდება, ევროკავშირსა და ა(ა)იპ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას - სარეგისტრაციო ნომერი 06/9-08, საიდენტიფიკაციო ნომერი - 204861373, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრს - რეგისტრაციის ნომერ 404432565, ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს - რეგისტრაციის ნომერი 204569617 და ა(ა)იპ - ,,სტუდია მონიტორს - რეგისტრაციის ნომერი 00730/12/0394, შორის, 2023 წლის 19 სექტემბერს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით (NDICI-GEO-NEAR/2023/447-077) გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის დამატებითი პირობები/ვალდებულებები.

კერძოდ, შეთანხმებაზე ხელმომწერი პირები, ერთი მხრივ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წარმოდგენილი თავმჯდომარის, ნონა ქურდოვანიძის, სახით და მეორე მხრივ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი კლდიაშვილის, სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **შესასრულებელი აქტივობები**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი პასუხისმგებელია, პროექტით გათვალისწინებულ ვადებში, პარტნიორებთან შეთანხმებით, განახორციელოს შემდეგი აქტივობები - **აქტივობა #2.1.1** (Producing tree annual monitoring reports on accessibility of judgments from the Common Courts and the Constitutional Court of Georgia); **აქტივობა #2.1.2.** (Producing comparative analysis on the proactive disclosure of the reasoned judgments); **აქტივობა #2.1.3.** (Producing a monitoring report on the enforcement of the judgement of the constitutional court of Georgia on accessibility of judicial acts.); **აქტივობა #2.1.4.** (Initiation of a strategic lawsuit on accessibility of judicial acts.).

2. **ფინანსები, გადახდები, თანხის მოთხოვნა**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის (NDICI-GEO-NEAR/2023/447 077) ბიუჯეტის სრული ოდენობა არის 1,018,256.18 (ერთი მილიონ თვრამეტი ათას ორას ორმოცდათქვსმეტი ევრო და თვრამეტი ცენტი) ევრო. აღნიშნული ოდენობიდან ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წილს შეადგენს 130,794.74 (ასოცდაათი ათას შვიდას ოთხმოცდათოთხმეტი ევრო და სამოცდათოთხმეტი ცენტი) ევრო, რომელიც მოიცავს 5%-იანი თანადაფინანსების წილს.

ხელმოწერები:

2.1 ხარჯების და დაფინანსების გეგმით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განხორციელდება „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, პროექტით გათვალისწინებული ეტაპების შესაბამისად.

ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE97BG0000000100658195

2.2 პირველი გადარიცხვა შეადგენს 50,160.61 (ორმოცდაათი ათას ასსამოცი ევრო და სამოცდაერთი ცენტი) ევროს ეკვივალენტს ლარში და აღნიშნული თანხა გადაირიცხება მხარეების მიერ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ თანხის მოთხოვნის (დანართი №1) დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, მაგრამ არაუგვიანეს 2024 წლის 15 იანვრისა.

2.3 მეორე გადარიცხვა განხორციელდება თანხის გადარიცხვის მოთხოვნის (დანართი №1) წარმოდგენისა და პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ამსახველი შესაბამისი შუალედური ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიშების ევროკავშირის მიერ განხილვის შემდეგ, საგრანტო ხელშეკრულებით (NDICI-GEO-NEAR/2023/447-077) დადგენილი წესით (მუხლი 15), არაუმეტეს 61,668.89 (სამოცდაერთი ათას ექვსას სამოცდარვა ევრო და 89 ცენტი) ევროს ეკვივალენტში ლარში.

2.4 მესამე გადარიცხვა განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულების (NDICI-GEO-NEAR/2023/447-077) მე-15 მუხლის შესაბამისად, არაუმეტეს 12,425.50 (თორმეტი ათას ოთხას ოცდახუთი ევრო და 50 ცენტი) ევროს ეკვივალენტი ლარში.

2.5 პროექტის ფინანსური მხარდაჭერის პერიოდი იწყება 2024 წლის პირველ იანვარს და სრულდება 2026 წლის 31 დეკემბერს. ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხების ათვისება უნდა მოხდეს აღნიშნულ ვადაში.

3. შუალედური ანგარიშები, ხარჯვა

3.1 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" იღებს ვალდებულებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას წარუდგინოს ანგარიშები (როგორც ფინანსური, ასევე, შინაარსობრივი) შემდეგი პერიოდულობით:

- 15.04.2024 - შუალედური ანგარიში, რომელიც მოიცავს 01.01.2024-დან 31.03.2024 - მდე პერიოდს.
- 15.07.2024 - შუალედური ანგარიში, რომელიც მოიცავს 01.04.2024-დან 30.06.2024 - მდე პერიოდს.

- 15.10.2024 - შუალედური ანგარიში, რომელიც მოიცავს 01.07.2024-დან 30.09.2024 - მდე პერიოდს.
- 15.01.2025 - საბოლოო ანგარიში, რომელიც მოიცავს 01.10.2024-დან 31.12.2024 - მდე პერიოდს.

3.2 ზემოაღნიშნული ფორმატი და პერიოდულობა გავრცელდება 2025 და 2026 წლებზე.

3.3 „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" ანგარიში უნდა აწარმოოს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებულ გადარიცხვის დოკუმენტში მითითებული კონვერტაციის კურსით ევროში.

4. დასკვნითი დებულებები

4.1 შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

4.2 იმ ვალდებულებების შესრულებისას, რომლებსაც არ განსაზღვრავს წინამდებარე შეთანხმება, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" ვალდებულია იხელმძღვანელოს საგრანტო ხელშეკრულების(NDICI-GEO-NEAR/2023/447-077) პირობებით.

მხარეთა ხელმოწერები

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე - ნონა ქურდოვანიძე

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი

ხელმოწერა:

ხელმოწერა:

ხელმოწერები: